შეხედეთ მათ, ვინც თქვენზე დაბლა დგას, და არ შეხედოთ მათ, ვინც თქვენზე მაღლა დგას, რადგან ეს უფრო მეტად დაგეხმარებათ ალლაჰის მადლიერებაში და იმაში, რომ არ დააკნინოთ ალლაჰის წყალობა, რომელიც თქვენ მოგანიჭათ

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შეხედეთ მათ, ვინც თქვენზე დაბლა დგას, და არ შეხედოთ მათ, ვინც თქვენზე მაღლა დგას, რადგან ეს უფრო მეტად დაგეხმარებათ ალლაჰის მადლიერებაში და იმაში, რომ არ დააკნინოთ ალლაჰის წყალობა, რომელიც თქვენ მოგანიჭათ».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მორწმუნეს, რომ ამქვეყნიურ საკითხებში, როგორიცაა სახლი, სიმდიდრე და საზოგადოებრივი სტატუსი, შეხედოს იმათ, ვინც მასზე ნაკლებად უზრუნველყოფილია და არ უყუროს მათ, ვინც მასზე მაღლა და უკეთეს მდგომარეობაშია. რადგან იმაზე ყურება, ვინც დაბლა დგას, უფრო მეტად განამტკიცებს მადლიერებას და არ მისცემს ადამიანს საშუალებას, რომ ალლაჰის წყალობა დაამციროს და უმნიშვნელოდ ჩათვალოს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5341